№ 114

სამშაბათი, 2 ივნისი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877–1898

# ივერია

№ 114

სამშაბათი, 2 ივნისი, 1898 წ.

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## „აღმოსავლეთის მაღაზია“

**იოსებ მერკვილაძისა**

(ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, № 4. სემინარიის პირდაპირ)

ახლად მივიღეთ **იაპონიის საუცხოვოდ დამზადებული** მრავალი **საქონელი** და ნამდვილი **ჩინეთის ფანზა** და **ჩესუნჩა** და სხვა აბრეშუმეული. აქვე ისყიდება **ჩვენებური დარაიები, შალები** და სხვა ნაწარმოები.

მაღაზიას აქვს **ქართული** (იმერული) **ტანისამოსის** სამაგალითო **სამკერვალო.**

(10—88—4)

## მეაგარაკეთა საყურადღებოდ

**ქ. თელავში** ნადიკვარზედ მთელის ზაფხულის განმავლობაში (7 ს თიბათვიდგან 1-ს ენკენისთვემდის) **გაიცემა ქირით** სამი ოთახი, დიდის ბალკონით, სამზარეულოთი, საკუთარის ეზოთი, პატარა ხეხილიანის ბაღჩით, რომელშიაც არის წმინდა წყლიანი ჭა პირსაბანითა; მიეცემა სამზარეულო ავეჯეულობა, ქვაბებით, საագარაკოდ საკმარისი სახლის ავეჯი და ჭურჭელი.

მსურველთ მიჰმართონ ამ ადრესით: Въ Телавъ, И. Зарапишвили.

(15—უ.—9)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(ტუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი. — დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

ი. თ. შროტასვევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

## ვკისრულობ

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

**ტელეფონი № 567.**

(50—80—26).

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გოლიცინს განზრახვა აქვს ესენტუკს წავიდეს 15 ივნისს. სამკურნალო წყლებზედ მათი ბრწყინვალება დაჰყოფს ერთს თვეს, შემდეგ უკან დაბრუნდება და წავა კოჯორს.

*** გუშინ წინ, 31 მაისს, სახაზინო თეატრში ქართულის თეატრის არტისტებმა წარმოდგენა გამართეს. ითამაშეს 5 მოქ. დრამა „და-ძმა“. კარგად შეასრულეს თავიანთი როლები კ. ყიფიანმა და ე. ჩერქეზიშვილისამ. დასასრულ ვოდევილის „ბარაქალა მასწავლებელო“ მაგიერ, „ხორომ“ რამდენიმე სიმღერა შეასრულა. კარგი იქმნება შემდეგში მაინც ასეთი „ხორო“ სცენაზედ არ გამოიყვანონ და ქართული სიმღერები არ დაამახინჯებინონ. ასეთის ხოროს გალობა უსიამოვნების მეტს არას აგრძნობინებს საზოგადოებას.

*** კვირას, 31 მაისს, წლიური აქტი იყო გამართული დედათა ინსტიტუტში მოსწავლეთა სწავლის დამთავრებისა გამო. აქტს დაესწრო მისი მეუფება, საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე, მთავარ-მართებლის თანაშემწე გენ.-ლ. ა. ა. ფრეზე, სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი და მრავალი სხვა. წელს სწავლა დაამთავრა 25 მოსწავლემ. ქართველთაგან მარიამ გაბაშვილმა, ელისაბედ ბაგრატიონ-მუხრანსკიმ, ანნა ჩიჯავაძემ და ანასტასია ნაცვლიშვილმა.

*** „Варш. Дн.“-ში აწერილია ის საჩუქარი, რომელიც განუმზადებიათ მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის ფლაბიანესათვის ვარშავაში მცხოვრებ მართლ-მადიდებელ ქალთ. ეს საჩუქარი მშვენივრად დამზადებული ოქროს დასაკეცი ხატია. ხელოვნურადაა დამზადებული და მშვენივრად არის მოჩუქურთმებული. ხატის შუა ადგილას მოთავსებულია წმ. სამება, მარცხნივ—საქართველოს განმანათლებელი წმ. ნინოს ხატი, მარჯვნივ—წმ. ფლაბიანესი და ქვეშ აწერია: „მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესს ფლაბიანეს, საქრთველოს ექსარხოსს მთავარ-ეპისკოპოსს ქართლისას და კახეთისას, ხოლმსკო-ვარშავის მთავარ-ეპისკოპოსად ნამყოფს“. ხატის მეორე მხარეზედ ამოჭრილია ვარშავის საკათედრო ტაძრის სურათი და იმ სახლისა, რომელშიაც სცხოვრობდა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე. ეს ხატი უკვე გამოუგზავნიათ საქართველოში მისის მეუფებისათვის.

*** კვირას, 31 მაისს, ქალაქის საბჭოს დარბაზში საერთო კრება ჰქონდათ ტფილისის საკრედიტო საზოგადოების წარმომადგენლთ. კრებამ დაამტკიცა 1898 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. კრებამ არ შეიწყნარა წინადადება იმის შესახებ, რომ დირექტორთ მეტი ჯამაგირები მიეცეთ, ხოლო მოხელეთ-კი ჯამაგირები მოუმატეს. ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის მიერ წარდგენილი პროექტი წესდების მე 66, 67 და 104 §§-ის $4^1/_2$% ობლიგაციების გამოცემის შესახებ და მე-9, 10 და

## ფელეტონი

### საგარეჯოს საზიარო მამულების დაყოფის შესახებ.

ამ ერთის თვის წინად გაიყვეს ერთმანეთში სოფლეულად ყველა მონაწილეებმა საგარეჯოს საზიარო მამულები. ამ გაყოფას მოჰყვა უკმაყოფილება ერთის სოფლის საზოგადოებისა და ეს უკმაყოფილება ყველამ თავისებურად ახსნა, თავისებურად განმარტა. მე, რადგან ამ საქმისა ყოველივე გარემოება ზედ-მიწევნით ვიცი, ამისათვის სავალდებულოდ მიმაჩნია მივაწოდო მკითხველ საზოგადოებას ნამდვილი ცნობები ამ საქის შესახებ.

საგარეჯოს საზიარო მამულების მონაწილენი არიან სოფ. საგარეჯო, ნინოწმინდა, გიორგიწმინდა და ანთოკი, რომელთაგან უკანასკნელი ორი სოფელი შეადგენს ერთს საზოგადოებას, ერთს სამამასახლისოს. მოგეხსენებათ, რომ ჩვენში, ჩვენდა საუბედუროდ, ორი გაუყრელი ძმაც ვერა თავსდება ერთმანეთში და აბა რა მოსაფიქრებელი იქნებოდა, რომ ოთხ გაუყრელ სოფელს ძმურად და თანხმობით ეცხოვრათ ერთმანეთში! ერთი მეორეს ავიწროებდა, ერთი მეორეს არჩობდა და მისის მწუხარებით თვით სტკბებოდა და ჰხარობდა. ერთი მეორეს უკლავდა ხელებს და მამულები-კი, მუდამ მოუვლელი, უპატრონოდ, ოხერ-ტიალად რჩებოდა. ყველა შურითა და მტრობით იყო აღვსილი და აღჭურვილი: ვინც ვის დასძლევდა, სამართალი იმას ერქვა, ვინც ვის დასჩაგრავდა, ის საქებური და სადიდებელი შეიქმნებოდა.

ერთხელ გარეჯელებს შეეტანათ გუთანი ერთს ხოდაბუნში და შესდგომოდნენ ხვნას. წასწრობოდნენ მათ ამ დროს ნინოწმინდელები, რომელნიც რიცხვით მეტნი ყოფილიყვნენ გარეჯელებზედ. ნინოწმინდელებსაც თვალი სჭეროდათ თურმე ამ ხოდაბუნებზედ და თითონა სდომებოდათ მისი მოხვნა. ეხლა, როდესაც საქმე ასე ენახათ, სწყენოდათ და ებრძანებინათ გარეჯელებისათვის, რომ გაიტათ აქედგან თქვენი გუთანი, ეგ ხოდაბუნები ჩვენ უნდა მოვხნათო. გარეჯელები ამაზედ არ დასთანხმებულიყვნენ. ნინოწმინდელებს გამოეშვათ გუთნის ერთის მხრის საქონელი და სულ პირუკუღმა შეებათ უღლებში, ისე რომ ერთ ხარს რომ ზევითა ჰქონდა პირი, მეორე ხარისთვის იმავე უღელში ქვევით ექმნათ პირი. შესდგომოდნენ ზედ მერე თვითონ ნინოწმინდელები, ამოეწყვიტათ ხარები სახრის ცემით და თითონ-კი მისცემოდნენ უსაზღვრო სიხარულს,—რომ ხარები არსაით სწევენ გუთანსა და ერთ ადგილას ტრიალებენ. მაშ რა არის ეს, თუ არ პირუტყვული საქციელი? და როგორა გგონიათ: შეინანეს ნინოწმინდელებმა ასეთი არა-ადამიანური ქცევა? სრულიადაც არა. დღესაც ანდაზად არის იმათში დარჩენილი, როგორც გმირული ქ ვაჟკაცური საქმე; დღესაც შეუთვლის ამ გვარ მუქარას და მოაგონებს ამ მაგალითს, თუ გააჯავრა გარეჯელმა ანუ სხვა მოზიარე საზოგადოების კაცმა.

ეს მაგალითი ისე ერთბაშად წამოგვაგონდა, თორემ ამ გვარი და ამაზედაც უფრო უარესი მრავალია და ულეველი. რა მეურნეობა უნდა სწარმოებდეს იქ, სადაც ამ გვარი წესი და რიგი ჰსუფევს, და მართლაც, არა მგონია სხვა ისეთი ღარიბი სოფელი, როგორიც არის, ძველის სახელით განთქმული, აწ-კი გაწყალებული და მიწასთან გასწორებული ათას ას კომლიანი საგარეჯო. მერე, რომ ცოტა ჰქონდეთ სახნავ-სათიბი მამულები, მაშინ კიდევ ესე არ ესაყვედურებოდათ, მაგრამ საქმეც ის არის, რომ მამულები მათ საზოგადოდ სამჯერ მეტი აქვთ თითქმის, ვიდრე, მაგალითად, შიგნით კახეთის მცხოვრებლებს და ცხოვრებით-კი ისე დაბლა სდგანან შიგნით კახელებზედ, რომ შედარებაც-კი მათი შეუძლებელია.

თუ ვინმე სარგებლობს დღემდე ამ საზიარო მამულებით, სარგებლობს, რასაკვირველია, ისევ შეძლებული; ყველა ღარიბი და უხარო კაცი-კი დაჩრიყვებულია, განდევნილია,—ის სრულიად უზიაროა ამ საზიარო მამულებისა. როცა უხარო კაცი უნდება ჯერ სხვა რამ „დროს შესაფერ“ საქმეს, მაშინ ის შეძლებული ასწრობს იმასაც, რასაც მისი უხარო მეზობელი, და მასთან ერთად იმავე დროს აწყობს სხვა თავის საქმეებსაც: იჭერს მახლობელს და საუკეთესო ხოდაბუნებს, რომ მერე არავინ დაასწროს და ველარავინ შეეცილოს. ამ გვარად, როდესაც უხარო კაცი მორჩება იმ ერთ საქმეს და მოუბრუნდება ახლა მინდორს, ჰნახავს, რომ საუკეთესო და მახლობელი ადგილები უკვე დაჭერილებია და თუ ჰსურს, რომ მაინც-და-მაინც მოხნას, უნდა წავიდეს 30—40 ვერსტის სიშორეზედ და იქ გატეხოს უძრავი მიწა (ყამირი) ანუ გაჩიჩქნოს ხრიოკი რამ ადგილები. იგივე ქონებრივი მხარეა იმისი მიზეზიც, რომ დღეს იორ გაღმა ყველა საუკეთესო შინა მამულები შემოუღობავთ და დაუჩემებიათ შეძლებულებს: ვის წისქვილები ჩაუდგავს შიგ, ვის ვენახი აუშენებია, ვის ტყე და ჭალა გაუზრდია, ღარიბი-კი ამ დროს გდია უპატრონოდ, უნუგეშოდ, ჰგრძნობს თავისს თავს მოძულებულად და, ლუკმა პურისთვის გაჭირებული, ჩამოდის ქალაქში და ერევა აქაურ კინტოთა ხროში (დღეს ტფილისში სცხოვრობს დროებითად ას კომლამდე გარეჯელი გლეხი).

მე გიამბობთ ერთ შემთხვევას, საიდგანაც ნათლად დაინახავთ, თუ რამდენად უმონაწილეოდ რჩება ღარიბი კაცი საზიარო მინდვრებში საზოგადოდ და საგარეჯოს საზიარო მინდორში განსაკუთრებით. 1896 წელს, ჩემს მამასახლისობის დროს, როდესაც ჯერ ისევ გაუყოფელი იყო მინდვრები, შევაკვრევინე ჩვეულებისამებრ ერთი ადგილი სათიბად. შევაკვრევინე ამავე დროს ყველა მონაწილეებს ურთიერთ შორის პირობა, თუ როგორის თანხმობით უნდა ესარგებლათ ამ საზიარო მამულებით. დადგა დრო სათიბის გახსნისა, გამოვიკითხე მეც იმათი ძველი წესები ამ საგნის შესახებ და აი რა შევიტყე.—უხარო კაცი არ მიდის, თურმე, სრულიად სათიბად. რომ გათიბოს ან-კი

11 §§-თა შეცვლისა დაამტკიცა კრებამ. შემდეგ კრებამ დაადგინა გადადებული იქმნას 2,000 მან. მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

*** 30 მაისს ტფილისში ჩამოვიდა მიწათ-მოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებული ი. ს. მედვედევი, რომელიც სასოფლო მეურნეობის ინსპექტორის ვ. ნ. გევესკსა და აგრონომებს ტარატინოვთანა და ტიმოფეევთან გაემგზავრა სოხუმს.

*** კავკასიის მთავრობამ ხელ-ახლად აღძრა თურმე შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ტფილისს-თიონეთ-ანანურის გზა, სახელდობრ ს. ჟინვალიდგან სად. ანანურამდე და სოფ. ჟინვალიდგან სოფ. წილკნამდის, რომელიც ადგილობრივ სამოქალაქო მთავრობის უწყებაშია, კავკასიის ოლქის გზათა უწყებას გარდაეცეს.

*** შაბათს, 30 მაისს, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა წლიური კრება იყო. წარსულის წლის ანგარიშის და მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შემდეგ კრებამ აარჩია გამგეობის წევრნი. არჩეულ იქმნენ ძველის წევრების: თავ. ილ. გ. ჭავჭავაძისა, ი. გოგებაშვილისა (28 თეთ. 2 შავი), თაყაიშვილის (24—4), დ. კარიჭაშვილისა (27—3), რატიშვილისა (21—9), ნ. ცხვედაძისა (21—9), ა. ჭყონიასი (19—11), ე. გაბაშვილისა—(18—12) და გ. იოსელიანის (16—14) გარდა, სამი ახალი წევრი: გ. ყიფშიძე (18—12), ი. ზურაბიშვილი (23—7) და კოტა აბაშიძე (22—8) ძველის წევრების ან. მ. თუმანიშვილის, ალ. გარსევანიშვილის და პ. რ. ყიფიანის ნაცვლად. დაწვრილებით ანგარიშს კრების შესახებ ხვალ დავბეჭდავთ.

*** 30 მაისს დასრულდა ტფილისის კადეტთა კორპუსის მოსწავლეთა გამოცდა. წელს სწავლა დაამთავრა: 38 კაცმა. ქართველთაგან სწავლა დაამთავრა თავ. ს. ავალიშვილმა, თავ. გ. თუმანიშვილმა, თავ. გ. ამირაჯიბმა, კ. გაბაშვილმა, ვ. მესხიმ, ა. ყონჩოშვილმა და თავ. ა. ვახვახიშვილმა.

*** სატეხნიკო სასწავლებელში ეგზამენი დასრულდა 28 მაისს. მთელს სასწავლებელში სწავლობდა 75 და სწავლა დაამთავრა 23 მოსწავლემ. ქართველთაგან ორმა კაცმა. სასწავლებელში დარჩა 49, ამათგან რუსი—26, ქართველი—8, სომეხი—9 და 6 დანარჩენის ეროვნობისა.

*** ნაფიც ვექილს ა. ი. ყარაბეგოვს, ვექილს სარდო ქართველიშვილისა, გაბო იმერლიშვილისა და ლექსო ჩუბინიძისას, რომელთაც თავ. დიასამიძის მკვლელობა ჰბრალდებათ,—საკასსაციო საჩივარი შეუტანია ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენზედ.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ შავის ქვის მწარმოებელთა შუამდგომლობა, რომ შემცირებულის გარდასახადით იქმნეს ხოლმე გადატანილი შავი ქვა ჭიათურის რკინის გზითაო, ხელ-ახლად იქმნება განხილული სატარიფო კომიტეტის მიერ დამატებითის ცნობების მიღებისათანავეო.

*** დ. ჩოხატაური. ამ ჩვენს პატარა დაბაში 29 მაისს დიდად სასიამოვნო საქმე მოხდა. რამდენიმე ხანია ციმბირიდგან გამოიპარა პატიმარი სოლომონ აბაშიძე. ამ ავაზაკის შესაპყრობლად მთელის ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაცია იყო შეძრული და ვერას გზით ვერ გაიგეს, თუ სად იფარავდა თავს. სწორედ 29 მაისს, ნაშუადღევის 2 სათზედ, ბ-ნი ბოქაული ჟღენტი თავისის ჩაფრებით და აგრეთვე სოფლის მამასახლისითურთ გაემგზავრა ჩოხატაურის მახლობელ სოფელში, სახელდობრ ბურნათში, სადაც შეიპყრო და წამოიყვანა ხსენებული აბაშიძე.

*** 29 მაისს, საღამოს 6 საათზედ, მე-5 ნაწილის პოლიციამ დააპატიმრა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებელი ფარნაოზ მელქაძე, 33 წლისა, რომელსაც სამოსამართლო პალატამ ამ წლის აპრილის თვეში 5 თვით დაპატიმრება მიუსაჯა და მაშინვე სადღაც მიიმალა.

*** მე-2 მალაკნის ქუჩის მცხოვრებელი ნიკალაშვილი 29 მაისს, დღე, მივიდა თავისს ცოლთან, რომელიც თავისს ძმასთან იყო, მთის მეორე ქუჩაზედ, და ეჭვიანობისა გამო ხუთჯერ დაჰკრა ხანჯალი. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი და, ექიმების შემოწმებით, მძიმედაა თურმე დაჭრილი.

## დრამატიულ საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

კვირას, 31 მაისს, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში იყო წლიური კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა. შეიკრიბა 30 წევრი. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ბ-ნი პ. რ. ყიფიანი. უპირველესად წაკითხულ იქმნა გამგეობის მოქმედების წლიური ანგარიში, რომლიდგანაც აღმოჩნდა, რომ გამგეობას წარსულს წელს არაფერი გაუკეთებია, იმის გარდა, რომ მიუღია სათავად-აზნაურო ბანკიდგან, ბალის შემოსავლიდამ და ბაქოდგან ფული. ამ ფულით წინა წლებიდგან დარჩენილი ვალი გაუსტუმრებია, ზოგიერთ დაწესებულებისთვის ფულით დახმარება გაუწევია და აწ კასსაში ნაღდი არის 800 მანათზედ ცოტა მეტი. კრებამ არ მოუწონა გამგეობას ასეთი მისი მოღვაწეობა. ამის შესახებ გამგეობის წევრმა ბ-ნმა ს. ვახვახიშვილმა გულ-წრფელად აღიარა, რომ მართალია, ჩვენ არაფერი გაგვიკეთებიაო, მაგრამ რას გავაკეთებდით უფულოდაო. ჩვენი ფიქრი იმაზედ იყო მამართული, რომ ვალები მოგვეშორებინაო და აი ეს მოვახერხეთო.

კრებამ ანგარიში დაამტკიცა. შემდეგ ზოგიერთმა წევრებმა ლაპარაკი დაიწყეს იმის შესახებ, თუ საზოგადოდ რა ღონისძიებანი უნდა იქმნას ხმარებული, რომ ქართულის თეატრის საქმე წარმატების გზას დაადგეს.

გ. ჟურული. ჩემის ფიქრით, ჩვენი თეატრის საქმე დღითი-დღე უფრო ცუდს მდგომარეობაში ჩავარდება, თუ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა არ აღძრავს თხოვნას სათავად-აზნაურო კრების წინაშე, რომ მისი თეატრი ამ გამგეობას გარდაეცეს იჯარით. დღეს ქართული თეატრის საქმე დამოკიდებულია კერძო კაცების, იჯარადრების, ქეიფზედ, ანუ მათს გამორჩომის ანგარიშზედ. რომელი დასიც მეტს ქირას მისცემს, იჯარადარნიც იმას აქირავებენ თეატრის შენობას. ამ მიზეზთა წყალობით ქართული წარმოდგენები იმართება ხოლმე არა კვირა-უქმე დღეებში, როდესაც ხალხი [illegible]დის, არამედ ისეთს დღეებში, როდესაც საზოგადოთ ხალხი თეატრში არ დაიარება. სათავად აზნაურო კრება შეიწყნარებს ჩვენის გამგეობის თხოვნას, რადგან ქართულ თეატრის დაღუპვა მას ისევე მოეჭიდება და ატკენს გულს, როგორც ჩვენ, და წარმატება-კი გაახარებსო. რაკი თეატრის შენობა ჩვენის საზოგადოების გამგეობის ხელში იქნება, მაშინ ქართულის წარმოდგენებისთვის დაინიშნება ისეთი დღეები, როდესაც საზოგადოება უფრო ეტანება თეატრს. გარდა ამისა, ჩვენი გამგეობა გააქირავებს თეატრს სხვაზედაც და ის მოგება, რომელიც დღეს კერძო იჯარადრების ჯიბეში მიდის, ჩვენს საზოგადოებას დაჰრჩება.

მიხ. ნასიძე. სრულიად ვეთანხმები ბ-ნ ჟურულის აზრს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მნიშვნელობა კვირა-უქმე დღეებისა ქართულ თეატრის ბედ-იღბალში ცოტად გაზვიადეს. რასაკვირველია, კვირა-უქმე დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს, ხოლოდ ყველა აქ მყოფთ კარგად ვიცით, რომ ხშირად ძალიანაც ხშირად, კვირა-უქმეებშიაც ყოფილა დანიშნული ქართული წარმოდგენა და თეატრში ხალხი არ მოსულა. ზოგჯერ-კი არა-უქმე დღეებში თეატრი ხალხით გაჭედილა. ცხადია, რომ მთავარი მიზეზი თეატრის შეფერხებისა სხვაგან იმალება. იმასაც ამბობენ, ჩვენ, ქართველები, ცოტანი ვართ და ამიტომ ხალხი ნაკლებ დაიარებაო. დიახ, ჩვენ ძალიან ცოტანიცა ვართ და ძალიან ბევრნიც. საქმე ის არის, თუ ვის ვიგულისხმებთ „ჩვენ“-ად. თუ სახეში გვეყოლება მხოლოდ ჩვენი ინტელლიგენცია, მხოლოდ მისი სულიერი მოთხოვნილება და მისი დაკმაყოფილება, მაშინ დიახაც „ჩვენ“, ცოტანი ვართ და რა ზომიერებაც უნდა მიიღოთ, ჩვენ, ე. ი. ინტელიგენცია, ვერ შევინახავთ და ვერ დავიმაგრებთ ქართულ თეატრს: ხოლო თუ თეატრის კარი გავუღეთ „ჩვენს“ ხალხს, მაშინ ბევრნი ვართ. ჩვენი თეატრი-კი აქამდის მხოლოდ და მარტო ქართველ ინტელიგენციას ემსახურება. ჩვენ უნდა ვმართოთ სახალხო წარმოდგენები, ქართული თეატრი უნდა იყოს „სახალხო თეატრი“. რა დიდი სურვილი აქვს ჩვენს ხალხს თეატრში სიარულისა, ეს მტკიცდება იმითი, რომ სახალხო წარმოდგენები, რომელსაც ჰმართავენ ავჭალის ქუჩაზედ, იმდენს მსურველს იზიდავს, რომ მესამედსაც ვერ იტევს შენობა. დანარჩენნი ბრუნდებიან უკან. ჩვენი თეატრის ბედი ძალიან წააგავს ჩვენის ლიტერატურის ბედს. ყოველი წიგნის გამოცემა ჩვენში, რომელსაც სახალხო დანიშნულება არა აქვს, ზარალის მეტს არას აძლევს გამომცემელს. მაგრამ თუ ავტორმა და გამომცემელმა აიღეს ალღო ხალხის ჭეშმარიტის მოთხოვნილებისა და სურვილისა და მისი შესაფერი საზრდო მიაწოდეს,

---

ვისთვის? საქონელი არა ჰყავს, რომ გამოკვებოს, და თუ გასასყიდად მოინდომებს წაღებას, აბრკოლებს იგივე უსაქონლობა: ქირა ურმისა და საქონლისა არა ნაკლები იქმნება თვით იმ თივის ფასზედ. მაშასადამე, იმისი მონაწილეობა შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ იმითი, რომ სხვას მაინც უშველოს თიბვაში და სამუშაოს გამორჩეს. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ხელ-ცალიერი რჩება ამ მხრივაც. შეძლებული კაცი, ვისაც სჭირდება მუშა, 15—20 კაპეიკად ურიგდება მაშინ კროებს, რომლებიც იმ დროს ჭინჭველასავით არიან ხოლმე მოდებულნი ჩვენს სოფლებში და ანუ, უფრო უკეთესი, გამოიწვევს მალაკნებს და ათიბვინებს სანახევროდ. ამ შემთხვევაში ხომ, როდესაც კაპეიკიც არ ეხარჯება თიბვაში და სრული ნახევარი ნათიბი-კი იმისია, ის ახლოც აღარ მიიკარებს თავის სოფლელს, თუნდა რომ სულ დღეში შაურად იკისროს იმ საწყალმა მუშაობა. როდესაც ეს შევიტყე, მეც ცოტა სხვაფრივ მოვუარე საქმეს და სხვა ღონისძიება ვიხმარე: დავადგენინე ყველა მონაწილე სოფლის საზოგადოებებს ყრილობის განაჩენები, რომლის ძალითაც აღკრძალული იყო გარეშე მუშის შემოყვანა სათიბებში. ვისაც მუშა უნდოდა, ამ ოთხ მონაწილე სოფელში უნდა ეშოვა და მასთან თითო კომლს ნება ჰქონდა მხოლოდ არა უმეტეს ორის მუშის დაჭერისა. ამითი ჩვენ მაინც და მაინც, მართალია უხარო კაცი თავისთვის სათიბად ვერ გავიყვანეთ, მაგრამ ეს არც თუ ისე საჭირო იყო. სამაგიეროდ, აიწია მუშის ფასმა და თითქმის ყველა უხარო კაცი ოთხივე სოფლისა 7—10 დღის განმავლობაში იღებდა სამუშაოს დღეში მანათიდგან მანათნახევრამდე.

დავუმატოთ ამდენ უბედურებას კიდევ ერთი გარემოება. საგარეჯოს საზიარო მამულები შემოზღუდულია გარეშემო წვრილ-წვრილის თათრის სოფლებით. მოგეხსენებათ, თათრები დღემდე ჯერ კიდევ ბინადარი ხალხნი არ არიან. დღემდე ძარცვა-გლეჯითა და მეკობრობითა სცხოვრობენ: ვის ცხენებს დასტაცებენ, ვის კაბდოს ჩაუჭრიან, ვის გუთნეულს წაართმევენ, ვისს ფარებს წაასხავენ და თუ ხმა გასცათ ვინმე საწინააღმდეგო, მუდამ მზად არიან,—დასცემენ თოფს და გააგორებენ. ხან კვირა არ გავიდოდა, რომ ორი და სამი ამგვარი უბედურობა რამ არ დატრიალებულიყო: და როგორ ჰპატრონობდნენ თავიანთ თავს ქართველები ამისთანა შემთხვევაში? სულ უბრალოდ: გიორგიწმინდელები მიაგდებდნენ საქმეს გარეჯელებზედ, გარეჯელები ნინოწმინდელებზედ, ნინოწმინდელები გიორგიწმინდელებზედ და საქმისათვის არც ერთი მათგანი ყურს არ გაიბერტყდა, ადგილიდგან არ დაიძროდა. თუ ვინიცობაა საქმე უფრო გამწვავდებოდა და მათი საქმეში ჩარევა აუცილებელი შეიქმნებოდა, მაშინ ერთ-ერთი სოფლელები თათრებს უმოწმებდნენ, იმათს მხარს დაიჭერდნენ და უფრო ყელს გამოსჭრიდნენ თავის მეზობელ სოფლელებს, თავის სისხლსა და ხორცს. ეს, რასაკვირველია, ხელმისაცემი იყო მათის მტრებისათვის, რომლებიც მარად ჟამს აქეზებდნენ ამ საზიზღარ საქმეებზედ, ასისინებდნენ ერთს მეორეზედ და თითონ-კი საუკეთესოდ სარგებლობდნენ ამ არევდარეულობით. ბევრჯელ ამისთანა შემთხვევების წყალობით წასთლია საგარეჯოს საზიარო მამულებს საუკეთესო კუთხე-კუნჭულები ასობით და ხან ათასის დესეტინობითაც.

აი, ამ აუტანელს უბედურებაში იყო ეს ოთხი სოფელი. ვგრძნობდა ჩინებულად, რომ ყველა ამ უბედურების მშობელი, მისი ბუდე იყო მამულების გაუყოფლობა და სულითა და გულით შეჰნატრიდნენ იმ დროს, როდესაც ეღირსებოდათ თავ-თავისის საკუთრების დაპატრონება. ხშირად გამიგონია თითონ იმათაგან, რომ ამ ჩვენს მამულებს უნდა ერქვას—„იყო და არა იყო რაო“, ესე იგი, გვაქვს და არცა გვაქვს, გვაქვს და ვერ გამოგვიყენებიაო; ნეტავი ერთხელ მოვესწრებოდეთ, რომ თუ რამ გვაქვს, ნამდვილად ხელთა გვქონდეს! მე დიდხანს არ დამავიწყდება ერთის, ფრიად პატივსადების, მოხუცის გარეჯელის სიტყვები, რომელიც ხშირად იტყოდა ხოლმე: ნეტავი-კი ერთხელ გამაგონა, რომ ჩვენში მიწის-მზომელი მობრძანდებოდეს მამულების გასაყოფად, და მერე თუნდა მოვკდე, მადლობა უფალსაო. წარმოიდგინეთ, იმ დღეს, რა დღესაც მე და მიწის მზომელი მივდიოდით ქალაქიდგან საგარეჯოს, იქიდგან ამბავი ჩამოგვივიდა, რომ გუშინ იაკობ ჭიაურელი დავასაფლავეთო.

ეს იყო იმათი მუდმივი ნატვრა, იმათი უპირველესი გულის-წადილი და მე მივეცი ჩემს თავს სიტყვა, თუ-კი რამ შემეძლებოდა, არაფერი არ დამეშურებინა ამ საქმისათვის, ოღონდ ეს იმათი სურვილი განმეხორციელებინა.

შემთხვევაც მალე გამოგვიჩნდა. იმ დროს, 1896 წელს, ახალ გაზაფხულზედ მოვიდა იქ ერთი მიწის-მზომელი, რომელსაც მესაკუთრენი უნდა გაემიჯნა და გამოეყვანა საგარეჯოს საზიარო მამულებიდგან, ყველაფერი,—გეგმები და საბუთის ქაღალდები თანა ჰქონდა. მე შეველაპარაკე სხვა მონაწილეების მამასახლისებს და იმათგანაც სრული თანხმობა მივიღე. მაშინ მოველაპარაკეთ თვით მიწის მზომელს და გავურიგდით კიდეც. საქმე გათავებული იყო, განაჩენებზედ ღა იყო დაბრკოლება. განაჩენიც წინადვე მქონდა სისრულით ხელმოწერილი და ნინო-წმინდისა და გიორგი-წმინდის განაჩენების ლოდინში ვიყავით. არ გვალოდინეს დიდხანს არც იმათ და ერთს მშვენიერს დღეს წარმოადგინეს თავიანთი განაჩენები, მხოლოდ აი როგორის შინაარსით: „ჩვენ თანახმანი ვართ მამულების გაყოფაზედ, ხოლო ჩვენთავად ნუ გავიყოფთ, მთავრობასა ვთხოვოთ, რომ იმათ გაგვიყონო და სანამ-კი მოვუცადინოთო“.

ნინოწმინდელები ამ შემთხვევაში გაპრიყვებულები იყვნენ, ვთქვათ, ერთის ტფილისელისაგან, — გიორგიწმინდელები?! იმათ მაშინვე ეტყობოდათ კოჭებში, რაც ბიჭები იყვნენ და დღეს ხომ საქმითაც დაამტკიცეს, რომ გაყრა არა სწადიანთ. ჩვენც რაღა გაგვეწყობოდა ამისთანა პასუხის შემდეგ. გავაუქმეთ ჩვენი განაჩენი და ამ გვარად მოიშალა საქმე სრულიად.

ლადო აღნიაშვილი

(დასასრული იქნება)

მაშინ წიგნი ვრცელდება სულ მოკლე დროში ორისა და სამის ათასობით. მაშასადამე, ურიგოს არ ვიზამთ, რომ ქართულს წარმოდგენებს შევუცვალოთ აწინდელი ელფერი და „სახალხო" ხასიათი მივცეთ. აი, ჩემის ფიქრით, ჭეშმარიტი გზა ქართულ თეატრის პროგრესისა და მისი დანიშნულებაც.

გ. ლასხიშვილი. „სახალხო" იმიტომ-კი არა ჰქვიან თეატრს, რომ განსაკუთრებით „სახალხო" პიესები იყოს. პიესები ერთია ყველასათვის, ხალხისთვისაცა და ინტელლიგენციისთვისაც, რომელი პიესაც არ ივარგებს ინტელიგენციისთვის, არ ივარგებს ხალხისთვისაც. კარგი პიესები-კი, ორიგინალურია იგი, თუ ნათარგმნი, სულ ერთია, ერთნაირად იზიდავს ყველას. ავჭალის სახალხო თეატრში თუ ხალხი ბლომად დაიარება, ეს იმიტომ, რომ ბილეთი შაური ღირს; ჩვენი თეატრი ამ ფასად ვერ გაჰყიდის ბილეთებს, რადგან ხარჯს (თეატრის ქირა, არტისტების ჯამაგირი) ვერ დაჰფარავს. გარდა ამისა, ავჭალის თეატრის ხალხი ჩვენს თეატრში არ წამოვა, ბილეთი რომ იაფიც იყოს...

თავმჯდომარე. მაშ ქართულ თეატრის ქანდარაზედ რომ ხალხი დადის, ეს იგივე უბრალო ხალხი არ არის?

გ. ლასხიშვილი. არა, ეს შედარებით მათთან ინტელლიგენციაა. ხალხი ჩვენს თეატრში არ დადის.

თავმჯდომარე. ლაქიები, მზარეულები, კინტოები დადიან, და ეს რომელი ინტელლიგენციაა!

ლასხიშვილი. მე მაინც ჩემს აზრს მტკიცედ ვადგევარ, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან ბილეთები გავაიაფოთ ისე, რომ ხალხმა იაროს. ამას უბრალო ანგარიში გვიმტკიცებს. თეატრს უნდა ქირა, განათება, არტისტებს ჯამაგირები...

თ. კ. აბაშიძე. ეთანხმება ბ. ლასხიშვილს, რომ „სახალხო" პიესა არა თქმულა და არ გაგონილა. პიესები არის ავი და კარგი და არა სახალხო.

მ. ნასიძე. მე ძალიანა ვწუხვარ, რომ აქ საკამათოდ და სალაპარაკოდ გაჰხადეს ის, რაც ყველასათვის ასე ცხადია. ვინ არ იცის, რომ არის სახალხო ლიტერატურა, სახალხო წიგნები და, მაშასადამე, სახალხო პიესებიც. აქ ბრძანეს, რომ უბრალო ანგარიში დაგვარწმუნებსო, რომ ფასების დაკლება არ მოხერხდება ჩვენს თეატრშიო. აბა ვნახოთ. ეხლანდელის დიდის ფასებით საშუალო შემოსავალი თითო წარმოდგენისა არ აღის 300 მანათზედ ზევით. ქართულს თეატრში ითვლება 800 ადგილი. ბილეთები რომ იქამდის დავაიაფოთ, რომ ერთი-მეორეზედ ანგარიშით საშუალოდ ბილეთი ჰღირდეს მხოლოდ 50 კაპ. ეხლანდელის 10 მ., 5 მ., 3 მ., 2 მ., 1 მ. 50 კაპ., 1 მ. მაგიერ, რომ თეატრი მუდამ სავსე იქნება ხალხით, და თუ თეატრი გაივსება, თითო საღამო მოგვცემს 50 კაპ. × 800=400 მანათს, ე. ი. იმაზედ მეტს, რასაც დღეს ვიღებთ. ეს ხომ ცხადია, რომ რაც საქონელი იაფია, მით მუშტარი მეტი ეტანება.

სხვებმაც ილაპარაკეს ამავე საგნის შესახებ. ბოლოს თავმჯდომარემ სთქვა, რომ ეს აზრები ოქმში ჩაიწერება და ახალი გამგეობა, რომელსაც დღეს ამოირჩევთ, მიიღებს სახეშიო.

(დასასრული იქნება)

## ანგარიში

ქართველთა საალებ-მიცემო ამხანაგობის „შუამავალის" წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრებისა.

კვირას, 31 მაისს, შესდგა საზოგადო კრება „შუამავალი" ამხანაგობისა. თავმჯდომარედ კრებისა აღმორჩეულ იქმნა ბ-ნი პეტრე იოსების ძე ყიფიანი და მდივნად ბ-ნი დიმიტრი ეპიტაშვილი. კრებას უნდა განეხილა შემდეგი საგნები: 1, ანგარიში ამხანაგობის საქმეებისა მისის დაარსებიდგან, 5 მარტიდგან 1897 წლისა 1 იანვრამდე 1898 წ.; 2, მოხსენება გამგეობისა ამ ანგარიშის შესახებ, 3, მოხსენება კანტროლისა ამავე ანგარიშის გამო; 4, ხარჯთ-აღრიცხვა 1898 წლისა; 5, მოხსენება გამგეობისა შესახებ წესდების ერთის ადგილის შეცვლისა, რომლითაც საანგარიშო წელიწადად მიღებულია 1 იანვრიდგან 1 იანვრამდე. გამგეობა შეუძლებლად სცნობს პრაქტიკულად ამ დროს ანგარიშების დაბოლოებისათვის, რადგან იანვარში და საზოგადოდ მთელი ზამთარი, როცა ვაჭრობა ყველგან გაცხოველებულია, ანგარიშების შედგენა, საქონლის გადათვლა და მისთანა რამ აბრკოლებს საქმის წარმოებას, 6, მოხსენება თანხის გაძლიერებისა და ვაჭრობის გაფართოების შესახებ; 7, ამორჩევა ერთი კანტროლის წევრისა, დ. კარიჭაშვილის მაგიერ, რომელიც მოუცლელობისა გამო ანებებს თავს, და ამორჩევა კანტროლის ორის წევრის მოადგილისა, რომელნიც სამსახურისა გამო დღეს ტფილისში არ იმყოფებიან.

საზოგადო კრებამ დაამტკიცა წლიური ანგარიში და აგრეთვე სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვა 1898 წლისა. შესცვალა წესდების 23 შენიშვნა და დაადგინა: მიღებულ იქმნას საანგარიშო წელიწადად 1 მკათათვიდგან 1 მკათათვემდე, ხოლო საზოგადო ჩვეულებრივი კრების მოსაწვევად ენკენისთვე. დაავალა გამგეობას რომ: სთხოვოს ყველა წევრს ამხანაგობისას, მოუმატონ საწევრო ფული კიდევ თითო თუმანი, და იქონიოს მეტი ყურადღება, რომ, როგორც ხორცი, აგრეთვე ყოველგვარი სინოვაგე რაც შეიძლება საუკეთესო იყიდებოდეს „შუამავალში". ამას გარდა, ბ-ნ ა. ახნაზაროვის წინადადების თანახმად, გამგეობასვე დაევალა, შემოიღოს საჩივრის წიგნი, რომ ყველას შეეძლოს ჩასწეროს ხოლმე შიგ ვინც რაიმე უწესოებას შეჰნიშნავს მაღაზიაში და განიხილოს გამგეობამ, თუ რამდენად გამოსადეგადა სცნობს ახლ წევრთა მოზიდვისათვის, რათა ამ სახით ძირის თანხა გაძლიერდეს,—რომ წევრთ ამხანაგობისას დაენიშნებათ მათს ნავაჭრ საქონელზედ რაიმე $^0/_0{}^0/_0$, და თავისი მოსაზრებანი ამ უკანასკნელი საგნის შესახებ წარმოუდგინოს მომავალ საზოგადო კრებას. უკანასკნელად დარჩა კრებას ასარჩევი კანტროლის ერთი წევრი და ორი მისი მოადგილე, მაგრამ, რადგან ძალიან დაგვიანებული იყო, კრებამ იმათი არჩევანი გადასდო მომავალ კვირას, 7 თიბათვისათვის.

ამ კრებაზედ ყველაზედ მეტი ბაასი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომელიც აღნიშნული ჰქონდა კანტროლს თავის მოხსენებაში და რომლითაც წინად ნამყოფს გამგეობის წევრს და ხაზინადარს, ბ-ნს ივანე კახეთელიძეს ანგარიშების ჩაბარების დროს დასდებოდა ვალად 258 მ. 75 კ. კრება შეეკითხა ამის შესახებ გამგეობას. გამგეობამ განუმარტა ეს საქმე საზოგადო კრებას და წარუდგინა აგრეთვე ამ საქმის შესახებ გამგეობისა და კანტროლის შეერთებულ კრების განაჩენი, საიდგანაც აღმოჩნდა შემდეგი: ბ-ნს კახეთელიძეს სრული ანგარიშის ჩაბარების დროს დასდებია ეს ფული, მაგრამ უთხოვნია შეერთებულის კრებისათვის, რომ მადროვეთ, ვიდრე სინამდვილით გამოვიკვლევდეთო,—შეიძლება ეგ ფული საქონელში იყოს მიცემული და ის საქონელი ხარჯში არა გვქონდეს შეცდომით, ან დავიწყებით გამოწერილიო. შეერთებულ კრებას ეს მისი განცხადება საყურადღებოდ უცვნია და უდროებია, სანამ მთელის წლის ანგარიშები დასრულდებოდა და ბალანსები შეიკვროდა. ეხლა, როდესაც იმ ანგარიშიდგან არაფერი აღმოჩენილა, შეეკითხა საზოგადო კრება ამ საქმის შესახებ თვით ბ-ნს კახეთელიძეს. ბ-ნმა კახეთელიძემ ახლა კრებას მიჰმართა იმავე თხოვნით: დამინიშნეთ კამისია, ეგებ იმ კამისიამ მაინც აღმოაჩინოს, თუ რაიმე შეცდომა არისო. არც კრება გაუხდა ამისი წინააღმდეგი და თვით კახეთელიძეს მიანდო იმათი დასახელება, რომლებიც ჰსურს, რომ კამისიაში ყოფილიყვნენ ამორჩეულნი. ბ-ნმა კახეთელიძემ დაასახელა 5 კაცი, რომელთაგან კრებამ აირჩია დ. კარიჭაშვილი, სამსონ წერეთელი და სვიმონ გუდიაშვილი.

კრება დაიშალა ღამის 1 საათზედ.

## წერილი რაჭიდგან

26 მაისი

გაზაფხულმა დაგვიგვიანა. მეტად ცივსა და წვიმიანს გაზაფხულს ის შედეგი მოჰყვა, რომ მუშაობა დიდად დააგვიანა და ახლაც ბევრი სათესი ყანებია; ვენახები წარსულის ზამთრის ყინვამ ბევრი აზარალა, ასე რომ რიონის ნაპირებზედ მდებარე ვენახები ბევრი სულ ერთიანად გაახმო, განსაკუთრებით ქვემო რაჭაში, სადაც საუკეთესო ღვინო მოდის. ფილოქსერას ჯერ არ მოუკიდნია რაჭაში მაგრად ფეხი, მაგრამ გვეშინიან-კი; ჩვენის ვენახების უმთავრესი სენი მილდიუა, მაგრამ ყველამ კარგად შეიგნო წამლობის საჭიროება და დღეს უკანასკნელი ღარიბიც-კი თავს არ იზოგავს, რომ თავისის ვენახისთვის საჭირო შაბიამანი შეიძინოს და თავისი ნაშრომი სენისაგან განადგურებას გადაარჩინოს. ამ გარემოებას ხელს უწყობს წრევანდელი შაბიამანის სიიაფე (ფუთი 4 მან.) და ის, რომ ახლოს, თითქმის ყოველ საზოგადოების და სამხარზედ იშოვება. შაბიამანის გაიაფებისათვის უნდა ვუმადლოდეთ ბ-ნ ჟანს, რომელმაც ქუთაისიდგან მოკიდებული ონამდის სხვა-და-სხვა ადგილებზედ შაბიამანის საწყობები გამართა და ფუთს 4 მან. ჰყიდის; ბ-ნი ჟანი შთამომავლობით ფრანგია და ხელობით აგრონომი, წინად ნამყოფია მუხრან-ბატონის მამულებში და ახლა ეს რამდენიმე ხანია დასახლდა ლეჩხუმის მაზრაში ს. დერჩს. იგი თავისის ცოდნითა და გამოცდილებით ყველას დიდს სარგებლობას აძლევს, ვინც-კი ხელმძღვანელობას და დარიგებას ისაჭიროებს ოჯახის წასაძღოლად. ღმერთს ვთხოვთ, რომ ამისთანა სასარგებლო კაცი ბევრი დასახლებულიყოს რაჭა-ლეჩხუმში.

წელს შორის მინდვრებზედ ჯარისათვის საზაფხულო ბანაკი გამართეს. ამ ზაფხულს იქ ექნება ბინა 25 ათას კაცს. უეჭველია, ეს ცოტა სარგებლობას არ მოუტანს რაჭის მკვიდრთ. ჩვენი თივა, შეშა, საკლავი, ერბო, ყველი, ღვინო და სხვა ამისთანა ბევრი გასაღდება შორზედ, ამასთანავე თვით სოფელ ნიკორწმინდაში, რომელთანაც ახლოა ჯარის საბინაო მინდვრები, სადაც საუკეთესო სახლები დაქირავებულია, რაც მეპატრონეთ კარგ შემოსავალს აძლევს; შორის წყლები ნაქებია მშვენიერის ჯიშის კალმახით, მაგრამ ვშიშობთ-კი, რომ ჯარის დაბინავებამ არ გადააშენოს ეს ძვირფასი თევზი სხვა-და-სხვა ბარბაროსულ საშუალებით ჭერისა გამო. ურიგო არ იქნება, რომ, ვისიც ჯერ არს, თვალ ყური ადევნონ ამ საქმეს და განსაკუთრებით თვალი ეჭიროთ ტყისმცველებზედ.

რაჭის ქალაქად წოდებული დ. ონი დღითი-დღე იზრდება და მშვენიერდება; აგებენ ლამაზს სახლებს, აარსებენ სკოლებს, სამკითხველოს... ამ ზაფხულს ონელებმა დაადგინეს, რომ ენკენისთვიდგან ონში პირველ დასაწყისი საქალებო სკოლა დააარსონ და წლიურად დახმარებაც აღმოუჩინონ.

ამ თვეში გლეხმა ან. ჩილაძემ ონში გაჰმართა მშვენიერი სასტუმრო, სუფთად მოწყობილი ნომრებით, ეს დიდად საჭირო იყო ონისათვის, რადგანაც აქამდის მოსულ უცხო კაცს ბინა არსადა ჰქონდა, თუ ან მოხელესა და მოსახლესთან არ შეიხიზნებოდა და ან უსუფთაო დუქანში არ შეაფარებდა თავს; დღეს-კი მგზავრს საშუალება აქვს თავისუფლად მოისვენოს ონის სასტუმროში, იშოვოს სუფთა ბინა და რიგიანი სასმელ-საჭმელი. ეს კარგია განსაკუთრებით იმათთვის, რომელნიც უწერისაკენ მიდიან და ჰსურთ ონში გაჩერდნენ რაიმე საქმისათვის, ან ღამის გასათევად.

კ. წულუკიძე

## მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წევრთა საყურადღებოდ.

კუხ-გუბის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის გამგეობას მოუვიდა ჩვენს სახელზედ ქაღალდი, გამოგზავნილი 16 აპრილს 1898 წლისას № 268 სასოფლო გამსესხებელ-შემნახველ და სამრეწველო ამხანაგობათა კომიტეტის პეტერბურგის განყოფილებისაგან. ეს ქაღალდი შეადგენს პასუხს ჩვენის თხოვნისას, რომლითაც მივმართეთ განყოფილებას ორის წლის წინათ, რათა ის დაგვხმარებოდა მეაბრეშუმეთა ამხანაგობის წესდების შედგენას. განყოფილება იწერება:

„1896 წლის მაისში „განყოფილებამ" მიიღო თქვენი წერილი, რომლითაც იცნობებოდით კუხ გუბის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობასთან ახალს ამხანაგობის დაარსებას მეაბრეშუმეების გაჭირვებულ მდგომარეობიდგან გამოსახსნელად და საზოგადოდ მეაბრეშუმეობის გასაუმჯობესებლად. როცა განყოფილებამ განიხილა ნოტარიუსის წესით შედგენილი წესდება ამხანაგობისა, დაინახა, რომ ამხანაგობის აზრის განსახორციელებლად და მისთვის საჭირო მოქმედებათა საწარმოებლად არ უნდა იყოს საჭირო ახალის ამხანაგობის დაარსება". განყოფილების აზრით, თუ მეაბრეშუმეთა ამხანაგობის წესდება ჯერ არ დამტკიცებულა, საკმაოა კუხ-გუბის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობამ მიიღოს ახალი შეცვლილი წესდება*), რომელიც ნებას აძლევს ამხანაგობას გაასაღოს წევრთა ყოველგვარი ნაწარმოები და შეიძინოს წევრთათვის საჭირო ნივთები, იკისროს კომისიონერობა ყიდვა-გაყიდვისა. „უპირატესობა გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა სხვაგვარ ამხანაგობებზეო, იწერება განყოფილება, ის არის, რომ პირველთ ნება აქვთ ისარგებლონ სახელმწიფო ბანკიდგან სესხით და ამითი ხელი გაიმართონ". „განყოფილებამ პასუხი იმიტომ დააგვიანა, რომ ელოდდა, ვიდრე დამტკიცდებოდა წესდებანი გირავნობისა და შუამავლობის მოქმედებათა და სახელმწიფო ბანკიდგან სესხის მიღებისა გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათაგანაო". ამით აბოლოვებს თავისს წერილს განყოფილება.

მეამრეშუმეთა ამხანაგობა დღემდის სულდგმულობდა კუხ-გუბის გამ. შემ. ამხანაგობის დახმარებით, წელს ხონის ნორჩმა ბანკმაც დიდი შემწეობა აღმოუჩინა, შემდეგისთვის-კი, ახლათ გამოსულ წესდების თანახმად, შეიძლება შესდგეს გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა კავშირი. ასეთი ამხანაგობა ხონის მახლობელ სოფლებში დღეს ხუთია (ორი ჯიხაიშისა, კუხისა, ხონისა და მანთხოჯისა) და საერთო მოქმედება, როგორც პარკისა, სიმინდისა, ბამბისა, შალისა და სხვა ნაწარმოებთა გასაღებაა, ერთად აწარმოვონ.

ნ. წერეთელი

# რუსეთი

—

გზათა საინჟინერო ინსტიტუტის მოსწავლეთა გამოცდა დამთავრდა 20 მაისს. წელს ინსტიტუტში სწავლა დაამთავრა 129 კაცმა.

— უმაღლესად ნება დართულ იქმნა მთლად რუსეთის ბუნების მეტყველთა და მკურნალთა მე-X კრების გამართვა ქ. კიევში. კრება გამართულ იქმნება საერო განათლების მინისტრის მჳარველობით და ამ კრების წევრობა შეუძლიან ყოველს, რომელიც-კი მეცნიერულად სწავლობს ბუნების მეტყველობას.

— წელს ყველა სამხედრო აკადემიაში სწავლა დაამთავრა 150 კაცმა, სახელდობრ: ნიკოლოზის საგენერალო შტაბის აკადემიაში—70, მიხეილის საარტილერიოსაში—23, ნიკოლოზის საინჟინეროში—33, სამხედრო-იურიდიულში—19 და აღმოსავლეთის ენების კურსებზედ—5.

— ფინანსთა მინისტრმა უკვე ნება დართო მთელის რუსეთის ფქვილის მწარმოებელთა კრება იქმნეს გამართული ქ. მოსკოვში. კრება გაიმართება სავაჭრო და სამანუფაქტურო

*) გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა ახალი წესდება საზოგადო კრებამ კუხ-გუბის გამ. შემ. ამხანაგობისამ უკვე მიიღო წელს იანვარში. ავტ.

დეპარტამენტის დირექტორის ვ. ი. კოვალევსკის თავმჯდომარეობით 18 ივნისს და დამთავრდება 4 დღის შემდეგ.

— საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ყოველ დიდ ქალაქის უმაღლესს და საშუალო სასწავლებელთან დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული საცხოვრებელი ოთახები მოსწავლეთათვისო. განზრახვა აქვთ ოთახებთან დააარსონ აგრეთვე საღამო კლასსები იმათთვის, რომელნიც ჯეროვანად ვერ ითვისებენ სასწავლო საგნებს. ამ ოთახების დებულების პროექტი უკვე შეუმუშავებიათ.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს ამ ზაფხულს თესლეულობის გამოფენა გამართოს ქ. პეტერბურგში.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა აქვს საკანონმდებლო წესრიგით ისეთი დამატებითი დადგენილებანი შეიტანოს საქალაქო დებულებაში, რომელთა ძალითაც მთავრობას შეეძლება დღევანზელზედ მეტი თვალ-ყური ადევნოს ქალაქის მეურნეობის საქმის წარმოებას.

# უცხოეთი

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** როგორც უკვე უკმადამ უწყის, ესპანელებმა დეპეშით მთელ ქვეყანას აცნობეს, რომ სანტ-იაგოში ჩვენმა ესკადრამ ამერიკელების ერთი გემი დაღუპა და დანარჩენი უკუ აქციაო. ამ ამბავს როგორც კუბაში, ისე ესპანიაში დიდის აღტაცებით და სიხარულით მიეგებნენ. მადრიდში ხალხმა დიდი დღესასწაულები გამართა ამ გამარჯვების გამო. ნამდვილად-კი, როგორც ეხლა გამოირკვა, ეს „გამარჯვება“ უფრო დამარცხებასა ჰგავს, ვიდრე გამარჯვებას. ამერიკის ესკადრის უფროსს, ადმირალს სამპსონს ერთი მველი, სრულიად გამოუსადეგარი გემი გაუგზავნია ნავთ-სადგურის შესასვლელში ჩასაძირებლად. სანტ-იაგოს ნავთსადგურის შესასვლელი იმდენად ვიწროა, რომ გემები გავლას ვეღარ მოახერხებენ თუ იქ ერთი გემი იქმნა ჩაძირული. ადმირალს სამპსონს აზრადა ჰქონია ამ რიგად მოემწყვდია ესპანელები და გარედ გამოსვლის ნება აღარ მიეცა. ხსენებული გემი ისე მისულა ნავთ-სადგურის შესასვლელამდე, რომ ესპანელებს არც-კი შეუმჩნევიათ. გემზედ ყოფილა სულ ერთი ლეიტენანტი და შვიდი ზღვაოსანი, რომელთაც უკისრიად გემის ჩაძირვა. ესპანელებს მხოლოდ მაშინ დაუნახავთ გემი და ყუმბარები დაუშენიათ, როდესაც ზღვაოსნებს თავიანთი საქმე გაუკეთებიათ და გემი ნახვრად თითქმის ჩაუძირავთ. შვიდი ზღვაოსანი და ლეიტენანტი, ესპანელებმა, რასაკვირველია, ტყვედ ჩაიგდეს, მაგრამ მათმა ვაჟკაცობამ და მამაცობამ ეს უკანასკნელებიც კი განცვიფრებაში მოიყვანა. ასე იუწყება სანტ-იაგოში მომხდარ შეტაკების შესახებ ევროპის ჟურნალ-გაზეთობის უმრავლესობა, თუმცა, ამავე დროს, ზოგიერთი გაზეთი სულ სხვას გაიძახის. „Gaulois“ ი სწერს, მაგალითად: „ადმირალმა სერვერიმ კარგა ხანია თავისი ესკადრა სანტ-იაგოდგან გამოიყვანა. ის ეხლა ფილიპეს კუნძულებისაკენ მიდის. ესპანიის ფლოტს აზრადა აქვს მანილაში დამარცხებისათვის ამერიკელებს სამაგიერო გადაუხადოს და იქ მყოფი იმათი ესკადრა სრულიად გაანადგუროს. სერვერის ნაცვლად კუბის მახლობლად ამ ჟამად ადმირალის ვილლამის მცირე ესკადრაა. ესპანელებმა ამ რიგად სამპსონი მოატყუეს“. რამდენად მართალია ეს ამბავი, ალლახმა უწყის!

— დეპუტატთა პალატამ ვაშინგტონში 17,850,000 დოლლარი კიდევ გადასდო სამხედრო ხარჯისათვის. ამ ფულიდგან 10 მილიონი ფლოტს მოჰხმარდება, ხოლო 5,845,000 ჯარს. მინისტრის ოლჯერის სიტყვით, ეს ფული საკმარისი არ არის და შტატების მთავრობას ახლო მომავალში 53,879,358 დოლლარის გადადება კიდევ მოუნდება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ომმა მთელ წელიწადს გასტანა, იგი მთავრობას 600,000,000 დოლლარად დაუჯდებაო.

— ამ რამდენისამე დღის წინად, გაზეთების სიტყვით, ამერიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტმა მაკ-კინლეიმ წარუდგინა სამხედრო მოქმედების გეგმა, რომელიც შემდეგის ოთხის მუხლისაგან შესდგება: 1, სანტ-იაგოს დაპყრობა, 2, ადმირალის სერვერის ესკადრის განადგურება, 3, სანტ-იაგოს პროვინციაში საგუბერნატოროს დაარსება და 4, სანტ-იაგო დე პორტო-რიკოს აღება, რომლის გუბერნატორადაც დანიშნული იქმნება ჰავანაში ეხლად ნამყოფი გენერალი ლეი.

**საფრანგეთი.** დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ საფრანგეთის დეპუტატთა პალატის პრეზიდენტად არჩეულ იქმნა პოლ დეშანელი. თუმცა ჩამომავლობით ფრანგია, მაგრამ დაიბადა ქალაქ ბრიუსელში 1856 წელს. ნაპოლეონ III-ს დროს იმისი მამა ემილ დეშანელი გაძევნილ იქმნა საფრანგეთიდგან და მხოლოდ რესპუბლიკის აღდგენის შემდეგ დაბრუნდა იგი სამშობლოში, სადაც College de France-ს პროფესორად და სენატორად იქმნა დანიშნული. 29 წლის პოლ დეშანელმა, უკვე დეპუტატმა, ხალხის ყურადღება მიიქცია თავისის მჭევრ-მეტყველობით. მას შემდეგ ის განუწყვეტლივ პარლამენტში შრომობს. გარეგნობით დეშანელი ლამაზისა და მიმზიდველის შეხედულობის კაცია.

— ამ დღეებში საფრანგეთის მთავრობა წარუდგენს პარლამენტს ღასამტკიცებლად, შინაგან საქმეთა მინისტრის ბარტუს მიერ შემუშავებულ კანონპროექტს უპატრონო მოხუცებულთა და ავადმყოფთა სახელმწიფო ხარჯით შენახვის შესახებ. ამ კანონის ძალით, საფრანგეთის ყველა ქვეშევრდომი, რომელიც 65 წლისაზედ ნაკლები არ არის და რომელსაც შრომა არ შეუძლიან და ამასთან არავითარი სახსარი ცხოვრებისა არა აქვს, სახელმწიფო ხარჯით უნდა იქმნას შენახული. დეპარტამენტებმა უკვე შეადგინეს იმათი სიები, ვისაც უნდა პენსია დაენიშნოს და შეიმუშავეს გეგმა ავადმყოფთათვის თავ-შესაფარისა. თავ-შესაფარში ისეთ ავადმყოფებს მიიღებენ, რომელთა მორჩენის იმედი აღარ არის.

# ნარევი

ცოლი უსაყვედურებს ქმარს ვექილს:
— საკვირველია, შენ მე ყოველთვის მატყუებ და ქურდებსა და ავაზაკებს-კი ამართლებ ხოლმე.

## გამოსადეგი ცნობა

ერთს ფრანგულს გაზეთში ნაჩვენებია წამალი ხეხილის გადარჩენისათვის მატლისა და ჭიისაგან, რომელიც ხშირად ავუჭებს ხეხილს და ხეს აუჩნდება ხოლმე. ავტორი წერილისა, რომელშიაც მოხსენებულია ეს ახალი წამალი, არწმუნებს, რომ მე რამდენიმე წელიწადია რაც ამ წამალს ვხმარობ და უკეთესი სხვა არა გამომდგომია-რაო. წამალი უნდა ასე გაკეთდეს: აიღეთ ქვაბი, რომელშიაც ეტევა თუნგი წყალი ჩადიოდეს, ჩაასხით ოცი ჩაის დიდი ჭიქა (სტაქანი) წყალი, ჩააყარეთ $2\frac{1}{2}$ გირვანქა გოგირდის ფხვნილი სწორედ ისეთი, რომელსაც ნაცრიან გაზს შეაყრიან ხოლმე ნაცრისაგან მოსარჩენად, და ყველა ეს აადუღეთ. როცა წყალი ადუღდეს, $2\frac{1}{2}$ გირვანქა კირი ჩაუმატეთ და კარგად მოურიეთ, ვიდრე გოგირდი და კირი არ გაიხსნება წყალში სრულიად. როცა გაიხსნება, წყალი მოუმატეთ ასე, რომ ქვაბის პირთამდე მოვიდეს და ხუთმეტი წუთი (მინუტი) ხელახლავ ადუღეთ. როცა წვენი მოჭირებულ ყვითელს ფერს მიიღებს, ქვაბი ცეცხლიდამ გადმოიღეთ და გააციეთ შიგ მყოფი წვენი. ამ გაციებაში წვენი დექს გაიკეთებს და დექის ზემოდ მოიგდებს წმინდა წყალს. წყალი უნდა ცალკე ჭურჭელში მოათავსოთ და დექი სხვა ჭურჭელში. დექი ცალკე უნდა შეინახოთ და წმინდა წვენი ცალკე. დექი იხმარება ხესა და მის შტოებზედ საცხობლად შემოდგომის დროს, ხმარების წინად კი ხეს უნდა მოშორდეს სავსი. წმინდა წვენი კი უნდა შეასხას ხის შტოებსა და ფოთლებსა გაზაფხულსა და ზაფხულს, ხოლო ხმარების წინად წყალი უნდა მიემატოს, ერთს ნაწილს წვენზე სამი დამ ექვს ნაწილამდე წყალი უნდა იყოს მიმატებული. მაგალითებრ, წვენი რომ ერთი ჭიქა იყოს, სამიდამ ექვსამდე იმოდენავე ჭიქით წყალი უნდა მისცეთ. ეს იმაზე ჰკიდია, თუ ხე როგორ შეიფერებს წამალს, იმიტომ, რომ წამალი ცხარე რამ არის და ზოგის ხის ფოთლებსა ჰშუშხავს და სწვავს. უნდა იქონიოთ სახეში, რომ ეს წამალი საწამლავსავით მაწყენარია და როცა მზადდება, სამაგიეროს სუნს უშვებს და გარდა მაწყენარობისა აფუჭებს სპილენძის და ვერცხლის ნივთსა, ამიტომაც წამალი უნდა მომზადდეს გარედ ჰაერ ქვეშ და არა ოთახში. მაწყენარობა მთლად ეკარგება ძალიან მალე, რაკი წაეცხობა, ან შეესხმება ხესა ასე, რომ გუშინდელ ნაწამლის ხის ხილი, მეორე დღეს რომ მოირთვათ, სრულებით საშიში არ არისო.

# ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო: 1, „ქართლის ცხოვრება“ დასაბამიდგან მეათცხრამეტე საუკუნემდე, წიგნი მეორე, ტომი პირველი. გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. ეს წიგნი შეიცავს 437 გვერდს, სუფთად არის გამოცემული და ღირს ერთი მანეთი. როგორც გამომცემელი აცხადებს პირველის ტომის მესამე წიგნის ბეჭდვას უკვე შესდგომია და მალე გამოვა კიდეც. ამ წიგნში მოთავსებული იქნება „პარიჟის ხრონიკაც“. „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომი, გამომცემლისავე სიტყვით, ორ წიგნად გამოვა, ეღირება ხელის მოწერით ორი მანეთი.

2. „ცხოვრება წმ. დიდისა ქალწულ-მოწამისა პარასკევასი“, მ. შარაძის მიერ გადმოღებული, ხოლო გამოცემული უდაბურ წყალ წმინდის ძმობისაგან.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

31 მაისი

**ლონდონი.** ინგლისის ელჩი კოპენჰაგენში სკოტტი დანიშნულ იქმნა ელჩად პეტერბურგში.

**ვაშინგტონი.** საზღვაო სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, საიდგანაც სჩანს, რომ 7 ივნისს (ახალის სტილით) სამპსონს მიუნდვია გემების „მარბლეხისა“ და „იანკე“-სათვის გვანტანამის სანაპირო ნავთსადგურის აღება. გემები შევიდნენ, ესპანიის ერთი გემი უკუ აქციეს და ეს ნავთსადგური დაიჭირეს.

დიდი ფლოტი, რომელიც 16 გემისაგან შესდგება, ფლორიდასთან შეიკრიბა. ეს ფლოტი კუბაში გადასხმულ ჯარს გაჰყვება.

**ჰავანა.** სამპსონის რვა გემმა 10 ივნისს ერთს დროს დაუშინეს ყუმბარები სანტ-იაგოს. სროლამ სამს საათს გასტანა. ესპანელებმა ჯარის გადასხმის ნება არ მისცეს ამერიკელთ. ამერიკის ტყვიას, რომელსაც შორს მანძილიდგან ისროდნენ, არავითარი ზარალი არ მიუყენებია.

**კანეა.** რადგანაც თესალიიდგან ჯარის გამოყვანის საქმე დამთავრდა, ხელ-ახლად დაიწყეს მოლაპარაკება კრიტში თვით მმართველობის შემოღების შესახებ. ამბობენ, რომ ჯერჯერობით დაარსებული იქმნება დროებითი გამგეობა, რომლის უმთავრეს წევრებადაც ადგილობრივი მცხოვრებელნი იქმნებიან.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: 1, ნება დაერთოს, რომ გაზ. „Русскій Трудъ“-ის ცალკე ნომრები გაიყიდოს; 2, გაზეთებს „Биржев. Вѣд. და Петерб. Газ.“-ს აეკრძალოს ცალკე ნომრების გაყიდვა.

## წერილი რედაქციის მიმართ

არტოზნის წმ. ნიკოლოზის მღვდელი თავის მრევლით დიდს მადლობას უძღვნის ბ-ნ ანასტასია მესხიევისას და ქ-ნ ელენე სუხადოლსკისას, რომელთაც შემოსწირეს ჩვენს ეკკლესიას ძვირფასი შესამოსელი და ჯვარი.

მღ. ირ. შავლიშვილი

უგულითადესს მადლობას გამოვუცხადებთ ჩემის და ლანჩხუთის იოანნე ნათლის მცემლის ეკკლსიის მრევლთაგან ჩემდამო რწმუნებულ ეკკლესიასთან მცხოვრებელს მონაზონს ელისაბედ, იგივე ქაპოს, ოქროპირ ურშაძის ასულს, რომელმაც შემოსწირა თვისის სულის მოსახსენებლად ერთი კარგი ხავერდზედ დახატული გარდამოხსნა, 25 მან. ღირებული.

ლანჩხუთის იოანნე ნათლის-მცემლის ეკკლესიის ბლაღოჩინი—მღვდელი კონსტანტინე კანდელაკი.




ღიდის ვაჭრობისა და ახალის განუკეთესებულის საშუალებით ჩემ მიერ საათების დამზადებისა გამო შეძლება მომეცა 1897 წლის 1 ივლისიდგან ვყიდო მეტად მშვენიერი და გამძლე **საათები ამერიკულ ოქროსი მამაკაცთათვის**, ძვირად გასარჩევი მკოდნე კაცებისათვისაც ნამდვილ ძვირფას ოქროს საათებისაგან, —დახურული **ანკერი**, მეტად კარგის მანქანისა და ნაკეთობისა (1896 წ. ვერცხლის მედალით დაჯილდოვებულია ჟენევის გამოფენაზედ), ლამაზის ძეწკვით, **ამერიკულ ოქროსივე**, ბრელოკით, და, დამკვეთის სურვილისამებრ, იმის **მონოგრამმით** ზემო სახურავზედ, 18—20 მან. მაგიერ იყიდება

**მხოლოდ 10 და 12 მან.**

ამერიკაში ამ საათებმა დიდი ხანია ხმარებიდგან გააძევა ნამდვილი ოქროს საათები და ბოლოს დროს ჩვენშიაც ჰხმარობენ.

ასეთივე საათი **ქალთათვის 1 მან. ძვირია**

წერილითი თავდებობა ეძლევა მყიდველს 6 წლის ვადით.

ვუგზავნი სრულიად მოწყობილსა და მორთულს საათს ორის მან. ბეს მიღების შემდეგ ფასდადებით. ადრესი:

**შ. გეილერის**

**საწყობი ჟენევის საათებისა ქ. ვარშავაში,**

კოროლევსკაია, 27, 29.

— მრავალი სამადლობელი წერილები —

სიყალბის თავიდგან ასაცდენად ყოველ საათს ფირმის ბეჭედი აზის, რომელიც ნება-დართული და დამტკიცებულია სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტისაგან. (10—მ.—4)


Дозволено цензурою, Тифлисъ 1-го Іюня 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.